ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №970397

ნომერი: AR1171949

თარიღი : 22.10.2013

გაცემის თარიღი : 29.10.2013

გაცნობის თარიღი : 07.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გ. გულუას ქუჩის დასაწყისში ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ იოსელიანი პ/ნ 01011085170
- თბილისი ურბნისის ქ. N 7

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის, გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით თქვენს დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდი: #01.18.05.001.035) ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) (იხ. დანართი).

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2):
ა) განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონა, მათ შორის კარკასი სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით;
ბ)კოეფიციენტები:
ბ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7;
ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) - 4,6;
ბ.გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1;
გ) შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, რეკომენდებულია არა უმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის. (25.11.2011 N 12-55)

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისას შენარჩუნებული უნდა იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავები. აქვე გაცნობებთ, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსება რეგულირდება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს #34. მუხლის თანახმად (იხ. დანართი). იმ შემთხვევაში თუ მისასვლელი გზით სარგებლობა განხორციელდება გულუას ქუჩის მხრიდან, მაშინ საჭირო იქნება ტერიტორიაზე შესვლა–გამოსვლა განხორციელდეს გამსვლელი ამაჩქარებელი და შემანელებელი ზოლებისა და ნიშნების მოწყობის მეშვეობით.

მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების (კოეფიციენტების) გაზრდის საკითხი უნდა ატვირთოთ სხვა ნომენკლატურაში კერძოდ: მიწის ნაკეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და შემდეგ ქალაქტმშენებლობით პარამეტრების გაზრდა და წარმოადგინოთ შესაბამისი დასაბუთება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge